# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველდოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტის 125 წევრის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 187-ე მუხლის შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 15 წევრის შემადგენლობით, საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა თითო წარმომადგენლისაგან.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე გ. *წერეთელი*
თბილისი,
2003 წლის 27 თებერვალი.
№1985–IIს